AGAINST HUMANITY (!?)**

Urgent task without which
acceptance of the many
unlawful decisions
in the Judicial system –
will be "guaranteed" (!?)

Annotation. In scientific work, the problem of the need to legalization of the balance of responsibility of Judges with their rights is considered, without which the Court will not be able to ensure justice and protection of legal human rights, what will be a crime against humanity (!?).

Thus, the aforementioned problem is an urgent task, without which the adoption of many unlawful decisions in the Judicial system will be "guaranteed" (!!).

Keywords: The theory of balance of the rights and responsibilities of officials; The problem of the need to legalization of the balance of responsibility of Judges with their rights; The problem of justice; The problem of protection of legal human rights; crime against humanity.

Альфред А. Кураташвили

**БЕЗ УЗАКОНЕНИЯ
ОТВЕТСТВЕННОСТИ СУДЕЙ,
СБАЛАНСИРОВАННОЙ С ИХ ПРАВАМИ –
СУД НЕ СМОЖЕТ ОБЕСПЕЧИТЬ
СПРАВЕДЛИВОСТЬ И ЗАЩИТУ
ЗАКОННЫХ ПРАВ ЧЕЛОВЕКА,
ЧТО БУДЕТ ПРЕСТУПЛЕНИЕМ
ПРОТИВ ЧЕЛОВЕЧНОСТИ (!?)**

**Неотложная задача,
без решения которой
принятие множества
противозаконных решений
в Судебной системе –
будет «гарантировано» (!?)**

Аннотация. В научном труде рассматривается проблема необходимости узаконения сбалансированности ответственности Судей с их правами, без чего – Суд не сможет обеспечить справедливость и защиту законных прав человека, что будет преступлением против человечности (!!).

Таким образом, вышеотмеченная проблема представляет собой неотложную задачу, без решения которой принятие множества противозаконных решений в Судебной системе – будет «гарантировано» (!!).

Ключевые слова: Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц; Проблема необходимости узаконения сбалансированности ответственности Судей с их правами; Проблема защиты справедливости; Проблема защиты законных прав человека; преступление против человечности.

* * *

პრობლემის დასმა. სასამართლო სისტემაში შექმნილი მწვავე ვითარებისა და გადაუჭრელი პრობლემების არსებობა საყოველთაოდ არის ცნობილი (!!).

ამასთან, ის სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები, განსაკუთრებით კი – ის პოლიტიკოსები და იურისტები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრის ინიცირება და ამ პრობლემების გადაჭრა, ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით, რატომღაც “ვერ გარკვეულან” (ან ვითომდა ვერ გარკვეულან) სასამართლო სისტემაში არსებულ მთავარ პრობლემაში, რომლის გადაჭრის გარეშე სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება განუხორციელებადი იქნება (!!).

ზემოაღნიშნულის შედეგად, სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები მრავალი წლის განმავლობაში “ცდილობენ” თითქოსდა “ცივილიზებული” სახელმწიფოებისადმი მიბაძვით და გარკვეულწილად ზოგჯერ საკუთარი ვითომდა “შემოქმედებითი” “მიდგომებით” გაატარონ ეტაპებად დაყოფილი რეფორმები სასამართლო სისტემაში, რაც ამ სისტემაში არსებულ პრობლემებს ვერანაირად ვერ გადაჭრის, რადგან ეს თანამდებობის პირები “ვერ ამჩნევენ” (ანდა არა აქვთ სურვილი, რომ დაინახონ), თუ რაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა სასამართლო სისტემაში, ხოლო, როგორც ცნობილია, “ავადმყოფისათვის” სწორი დიაგნოზის დასმის გარეშე, მისი ეფექტიანი “მკურნალობა” შეუძლებელი და წარმოუდგენელია (!!).

სწორედ სასამართლო სისტემაში არსებული საგანგაშო პრობლემებით, და ამ პრობლემების გადაჭრის ჩემს მიერ შემუშავებული და მრავალჯერ შემოთავაზებული რადიკალური პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმების გადაუღებელი დანერგვის აუცილებლობით არის განპირობებული საკვლევი თემის აქტუალობა.

არსებული გამოკვლევების ანალიზი. საერთაშორისო დონეზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩემი ნაშრომების გარდა ფაქტობრივად არ გვხვდება სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც განხილულია მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღებისა და დაკანონების აუცილებლობის პრობლემა, რომლის გადაჭრის გარეშე – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას (!!).

ამრიგად, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში განიხილება – მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, *თითქოსდა* “სამართლიანობის უზრუნველსაყოფად” – მოსამართლეთა უვადოდ არჩევის (თუ დანიშვნის), და მრავალი სხვა პრობლემა, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ჩემი სამეცნიერო ნაშრომების გარდა, ვერ შეხვდებით მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღებისა და დაკანონების აუცილებლობის განხილვას, რომელიც სასამართლო სისტემის მთავარ და უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, და რომელიც ემყარება ჩემს მიერვე შექმნილ – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივ თეორიას [1; 2; და სხვა].

ამასთან, სწორედ ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია წარმოადგენს, როგორც სასამართლო სისტემის მიერ სამართლიანობისა და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თეორიულ ბაზისს, ისე საერთოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ მეცნიერულ საფუძველს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია სახელმწიფოში (სახელმწიფოებში) მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღება, დაკანონება და პრაქტიკაში დანერგვა – რეალურად განხორციელება, ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის საფუძველზე, რის გარეშე – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარებას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას, ისევე როგორც შეუძლებელი იქნება საერთოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანი ფუნქციონირება.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს – სახელმწიფოში (სახელმწიფოებში) მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღების, დაკანონებისა და დანერგვის აუცილებლობის დასაბუთება, ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის საფუძველზე, რის გარეშე – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოში სამართლიანობას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას.

* * *

მეცნიერული სიახლე.

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს სახელმწიფოში (სახელმწიფოებში) მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღების, დაკანონებისა და დანერგვის აუცილებლობის – როგორც სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრის მთავარი სამართლებრივი მექანიზმის – განხილვა, ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [1; 2; და სხვა] საფუძველზე, რამეთუ სწორედ მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის შემოღება, დაკანონება და დანერგვა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, რომლის გადაჭრის გარეშე – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარებას, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას (?!).

* * *

ძირითადი მასალის გადმოცემა.

სასამართლო სისტემაში არსებულ მწვავე პრობლემებთან და ამ სისტემაში შექმნილ საგანგაშო ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეთა უსაფუძვლო "გალმერთებით", მათთვის ვითომდა "დამოუკიდებლობის" "ნიღბის ქვეშ" განუსაზღვრელი უფლებების – მათ შორის ფაქტობრივად უსამართლო (დანაშაულებრივი) გადაწყვეტილების მიღების უფლების – კანონსაწინააღმდეგოდ "დაკანონებით", ანუ მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებაზე იურიდიული პასუხისმგებლობის არარსებობით, რაც სასამართლო სისტემაში დანაშაულებრივი ქმედებების მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს, სრულიად ლოგიკურად ისმება შემდეგი კითხვები:

ნუთუ "აწყობს" – ნუთუ უნდა "აწყობდეს" და/ან ნუთუ შეიძლება აწყობდეს – სახელმწიფო ხელისუფლებას, თუ ის ხელმძღვანელობს ჰუმანოსოციალური მიზნით – თუ ის თავისი დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებს და ხალხის ინტერესებს ემსახურება, რომ მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ამით უხეშად ლახავდნენ ადამიანების კანონიერ უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს?!

ნუთუ ვერ უნდა აცნობიერებდეს სახელმწიფო ხელისუფლება, რომ საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმის თანახმად – კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, და რომ დანაშაულებრივი ქმედებისათვის (კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის) ყოველ ადამიანს, მათ შორის, მოსამართლეს (თანაც, განსაკუთრებით – სწორედ მოსამართლეს) უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?!

ნუთუ შეიძლება, რომ ასე "მახინჯად" და დანაშაულებრივად "ესმოდეს", ანუ ნუთუ შეიძლება არ ესმოდეს სახელმწიფო ხელისუფლებას – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელობა?!

ნუთუ შეიძლება, რომ მოსამართლეს ჰქონდეს მხოლოდ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ ამავე დროს არ ეკისრებოდეს მას პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის?!

ნუთუ ყველა მოსამართლე კარგად არ უნდა აცნობიერებდეს, რომ კანონის თანახმად მოსამართლის დამოუკიდებლობა – ეს არის არა მისი კანონისგან "დამოუკიდებლობა", რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი, არამედ ეს არის დამოუკიდებლობა მხოლოდ სასამართლო პროცესში და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გარედან (საერთოდ ვინმეს მხრიდან) ჩარევისაგან, და ნუთუ კანონისაგან "დამოუკიდებელი" – აშკარად კანონსაწინააღმდეგო – გადაწყვეტილების მიღებისათვის მოსამართლეს არ უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?!

ნუთუ ყველა მოსამართლეს კარგად არ უნდა ესმოდეს, რომ *კანონის თანახმად* მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება ეგრეთ წოდებული ”შინაგანი რწმენით” – ეს არის მოსამართლის მიერ თავისი ”შინაგანი რწმენის” გათვალისწინების უფლება მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, და ნუთუ მოსამართლე არ უნდა აცნობიერებდეს, რომ ეს არ ნიშნავს მის მიერ თითქოსდა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღების ”უფლებას”?!

ნუთუ ვერ ხვდებიან სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში, და, რაც მთავარია, სახელმწიფოს (სახელმწიფოების) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში (ხელისუფლებებში), რომ უცხოეთისადმი უსაფუძვლოდ და ”ბრმად” ”მიბადვით” მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად “დაკანონებული”, მაგრამ კონსტიტუციის არსის, დანიშნულებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებაა?!

ნუთუ ვერ ხვდებიან სახელმწიფო ხელისუფლებაში (სახელმწიფოების ხელისუფლებებში), რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უხეში დარღვევაა, რაც იწვევს მრავალი ღირსეული ადამიანის დისკრიმინაციას (იწვევს იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც კონკურსის წესით მოსამართლეობა არ ელირსებათ, რამეთუ უნდა ელოდონ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების “დაბერებას”, და ამ ლოდინში თვითონაც “დაბერდებიან”), და ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – წარმოადგენს მოსამართლის კრიმინალური ქმედებების მასტიმულირებელ ფაქტორს?!

ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა თვითმიზანს წარმოადგენს, რათა ”რეფორმა” ”საქმის კეთებად” ჩაითვალოს?!

ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა უნდა ემსახურებოდეს არა ხალხის ინტერესებს – არა ყოველი ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას, არამედ მხოლოდ მოსამართლეთა ”დამოუკიდებლობას”, რათა ზოგიერთმა მოსამართლემ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში ”დამოუკიდებლად” და დაუსჯელად გააუბედუროს მრავალი ადამიანი?!

ნუთუ გასაგები არ უნდა იყოს ყველასთვის, რომ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს მიღწევა და დამკვიდრება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ლაპარაკი იქნება მხოლოდ მოსამართლეთა „დამოუკიდებლობაზე“, სანამ მოსამართლეს პასუხისმგებლობისაგან დაიცავს ”იმუნიტეტი”, და სანამ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [1; 2; და სხვა] შესაბამისად არ ამოქმედდება მოსამართლეთა იურიდიული პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები, და სანამ არ მოხდება მოსამართლის პასუხისმგებლობის დაბალანსება მის უფლებებთან.

ნუთუ ასე ძნელი და, *მით უმეტეს*, ნუთუ შეუძლებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ გააცნობიეროს და გაითვალისწინოს შემდეგი:

მოსამართლეს არავითარი უფლება არა აქვს (*არ უნდა ჰქონდეს*), რომ მან მიიღოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რამეთუ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ამ მოსამართლის მიერ დანაშაულებრივ ქმედებას – წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებას [3, მუხლი 333] და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას [3, მუხლი 332], რაც სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს (?!).

ნუთუ შეიძლება, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – დანაშაულებრივ ქმედებად არ ითვლებოდეს და მოსამართლეს პასუხი არ მოეთხოვებოდეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებაზე?!

ნუთუ შეიძლება, რომ მოსამართლეს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხისმგებლობისაგან იცავდეს დანაშაულებრივად „დაკანონებული“ ეგრეთ წოდებული „იმუნიტეტი“?!

ნუთუ ვერ უნდა აცნობიერებდეს სახელმწიფო ხელისუფლება, რომ სახელმწიფოში სამართლიანობის მისაღწევად და კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დასამყარებლად, მოსამართლეს – „გალმერთების“ ნაცვლად უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად [3, მუხლი 332, 333], მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის?!

ნუთუ სახელმწიფოს კონსტიტუციით (*სახელმწიფოთა კონსტიტუციებით*) სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე „დაკანონებული“ „იმუნიტეტის“ არსებობა, და ამით მილიონობით ადამიანის *დისკრიმინაცია*, არ არის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – „დისკრიმინაციის აკრძალვის“ [4] საწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან?!

ნუთუ ჩემს გარდა არავინ არ უნდა აპროტესტებდეს – *ნუთუ არ უნდა აპროტესტებდნენ და არ უნდა იბრძოდნენ განსაკუთრებით პოლიტიკოსები და იურისტები მაინც* – იმაზე, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციით (*სახელმწიფოთა კონსტიტუციებით*, და, საერთოდ, კანონმდებლობით) არ იყოს „დაკანონებული“ და „ნებადართული“ დანაშაულებრივი ქმედება, არ იყოს „დაკანონებული“ უსამართლობა, არ იყოს „დაკანონებული“ დისკრიმინაცია, არ იყოს „დაკანონებული“ კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობა?!

ნუთუ სახელმწიფო ხელისუფლება არ უნდა ფიქრობდეს სამართლიანობაზე და არ უნდა იბრძოდეს სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრებისთვის, რომლის განხორციელების პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები უცხოეთში ვერ „მოიძებნება“, რადგან ეს საფუძვლები შექმნილია არა ეგრეთ წოდებულ „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებში, რომლებსაც ხშირად „ბრძად“ ბაძავენ ზოგიერთი პოლიტიკოსები და „თუთიყუმის“ მსგავსი ეგრეთ წოდებული „მეცნიერები“, არამედ შექმნილია ჩემს მიერ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ და ბევრჯერ არის გამოქვეყნებული, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა ენებზე – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [1; 2; და სხვა] სახით?!

* * *

სწორედ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია წარმოადგენს სახელმწიფოში სამართლიანობის – *კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის* – მიღწევისა და დამკვიდრების, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ყოველი ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვის აუცილებელ თეორიულ საფუძველს, რომლის გარეშე შეუძლებელია ჩემს მიერვე შექმნილი – სოციალური მიზნის ფილოსოფიისა [5; 6; და სხვა] და ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [7; 8; და სხვა] საფუძველზე ჭეშმარიტად ადამიანური (ჰუმანოსოციალური) საზოგადოებისა და ჭეშმარიტად ადამიანური (ჰუმანოსოციალური) სახელმწიფოს მშენებლობა და ფუნქციონირება, რომელთა მეცნიერული თეორიები აგრეთვე შექმნილია ჩემს მიერ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ [9; 10; 11; და სხვა].

მაშადასამე, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე შემუშავებული სამართლებრივი მექანიზმების გარეშე შეუძლებელია ჰუმანოსოციალური – *ყოველი ადამიანის უფლებების დაცვასა და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული* – საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობა და ფუნქციონირება [12; 13; და სხვა].

* * *

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [1; 2; და სხვა] საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ (და, *საერთოდ, ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ*) ყოველგვარი "იმუნიტეტის" მოხსნა – გაუქმება, და მოსამართლეთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის პასუხისმგებლობის შემოღება, დაკანონება და დანერგვა – პასუხისმგებლობისა, რომელიც დაბალანსებული იქნება მოსამართლეთა უფლებებთან – მიიღონ გადაწყვეტილება მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, და არა ისე, როგორც მათ "მოეპრიანებათ" ეგრეთ წოდებული "შინაგანი" – კანონსაწინააღმდეგო – "რწმენით" ანდა "გარედან" ზეგავლენით (?!).

ხოლო ის სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ჩემი სამეცნიერო შრომების გაცნობის შემდეგაც – დაუყოვნებლივ არ შემოიღებს, არ დააკანონებს და არ დანერგავს მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებულ მათ იურიდიულ პასუხისმგებლობას, ამხელს თავის თავს – მოახდენს საკუთარი თავის ლუსტრაციას, როგორც ანტისოციალური, ანტიჰუმანური და ანტიზნეობრივი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელსაც არ აინტერესებს სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვა (?!).

* * *

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებულ მათი პასუხისმგებლობის შემოღების, დაკანონების და დანერგვის აუცილებლობის პრობლემები და მათი განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები, აგრეთვე საერთოდ სასამართლო სისტემაში არსებული მწვავე პრობლემები, განხილულია ჩემს მიერ გამოქვეყნებულ მრავალ სამეცნიერო ნაშრომში [1; 2; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47; 48; 49; 50; 51; 52; 53; 54; 55; 56; 57; 58; და სხვა].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია, რაც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის სიღრმისეულ გაცნობიერებას და გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს, რამეთუ მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში შეუძლებელია სახელმწიფოში სამართლიანობის დამყარება, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვა.

ამრიგად, არსებული საგანგაშო ვითარების გათვალისწინებით (თანაც, არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით) იძულებული ვარ კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ კანონმდებლობაში განსახორციელებელი აუცილებელი ცვლილებების პროექტები, რომლებიც ჩემს მიერ ადრე მრავალჯერ იყო გამოქვეყნებული, და რომელთა განხორციელებით, ერთი მხრივ, გაუქმდება მოსამართლეთა მიმართ არსებული ყოველგვარი ”იმიუნიტეტი”, რომელიც ათავისუფლებს მოსამართლეებს პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, დაკანონდება მოსამართლეთა პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან, ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [1; 2; და სხვა] საფუძველზე.

* * *

”ამ შემთხვევაში, – როგორც ადრეც აღვნიშნავდი, – მე შევეხები კანონის წინაშე იმ უთანასწორობის არსებობის პრობლემას, რომელიც მდგომარეობს მოსამართლეთათვის სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) კანონსაწინააღმდეგოდ და დანაშაულებრივად “დაკანონებულ” პასუხისმგებლობის არარსებობაში მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის – მათ მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულისათვის (!)” [43, გვ. 89].

”აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, – როგორც მე ადრეც არაერთხელ ვამახვილებდი ამაზე ყურადღებას, – საერთო სასამართლოებში მოღვაწეობს მრავალი ღირსეული – კომპეტენტური, პრინციპული და სამართლიანი – მოსამართლე, რომელიც არავისთვის, არაფრისთვის და არავის ზეგავლენით არ მიიღებს კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, ბოროტად არ გამოიყენებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, რისთვისაც ის მხოლოდ მადლობას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მოსამართლე ასეთი არ არის (!)” [43, გვ. 90].

ზემოაღნიშნულის, არსებული კანონმდებლობისა და რეალური პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაკანონება და ამოქმედება – პასუხისმგებლობისა, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან, სასამართლო სისტემისა და სახელმწიფოს უმწვავეს პრობლემად რჩება (!).

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) მოსამართლეთათვის კანონსაწინააღმდეგოდ და დანაშაულებრივად “დაკანონებული” პასუხისმგებლობის არარსებობას – პასუხისმგებლობისაგან მოსამართლეთა დანაშაულებრივი “იმუნიტეტით” დაცვას, რომლითაც ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა, და რაც იწვევს მილიონობით ადამიანის დისკრიმინაციას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტიდან [59] ამოღებული უნდა იქნეს ბოლო წინადადება: „არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“ [59, პუნქტი პირველი], რამეთუ სრულიად დაუშვებელია, რომ მოსამართლის „დამოუკიდებლობა“ ათავისუფლებდეს მას კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობისაგან (!).

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მეორე პუნქტში კი [59] უნდა დარჩეს მხოლოდ სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, და ისიც უნდა დარჩეს გარკვეული დაზუსტებით, ხოლო სიტყვები: „დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა“, და ყველაფერი დანარჩენი ამოღებული უნდა იქნეს ამ პუნქტიდან, რამეთუ დაუშვებელია არა მარტო მოსამართლის, არამედ ნებისმიერი უდანაშაულო ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლის მიმართ კონსტიტუციაში დაფიქსირებული აღნიშნული „სამართლებრივი“ „ნორმა“ კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის დაუშვებლობას „აკანონებს“, რაც უსამართლობის “ზეიმს”, მოსამართლეთა კრიმინალური ქმედებების სტიმულირებას, და, შესაბამისად, მრავალი ადამიანის დისკრიმინაციას წარმოადგენს (!).

ამასთან, სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია“, *უნდა დაზუსტდეს* შეძლებდნაირად: „მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, რამეთუ მოსამართლის ხელშეუხებლობა, მისი დამოუკიდებლობა – კანონისგან დამოუკიდებლობა არ არის.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შეტანით მოიხსნება გარკვეული – *თუმცა კი კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ კონსტიტუციურად „დაკანონებული“* – წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, მოიხსნება წინააღმდეგობა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამკვიდრების გზაზე.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული ცვლილებების შეტანით მოიხსნება წინააღმდეგობა სახელმწიფოში თანასწორობის დამკვიდრების გზაზე, *ერთი მხრივ, მოსამართლეებს – როგორც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს – შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, რითაც გარკვეულწილად დაძლეული იქნება მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია.*

ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის [59] თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა.შ. მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, რაც სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – და ალოგიკური ვითომდა „სამართლებრივი“ „ნორმა“ (?!).

ზემოაღნიშნული “სამართლებრივი ნორმის“ კონსტიტუციიდან ამოღების აუცილებლობა უდავოა, რამეთუ უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თუ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მაშინ ამ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არავისი ნებართვა – *არავისი „თანხმობა“* – არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რითაც ამ შემთხვევაში ხდება კრიმინალი მოსამართლის სრულიად უსაფუძვლო „გამართლება“ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, და რითაც ხდება მოსამართლის მიერ მომავალში ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის „წახალისება“ (?!).

ამრიგად, ყოველად გაუმართლებელია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უფლება ჰქონდეს დაარღვიოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და მან განსაზღვროს – *ვითომ „განსაზღვროს“* – დაუშვას თუ არა კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რადგან არცერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა (მათ შორის, კრიმინალ მოსამართლეს), კონსტიტუციით “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშა” არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად “დაკანონებული” უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?!).

* * *

ამასთანავე, მოსამართლეების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად *შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციაში (და, საერთოდ, არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციებში), არამედ აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“* [60].

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში [60] უნდა შევიდეს ისეთივე ცვლილებები, რომელი ცვლილებებიც ჩემს მიერ ზემოთ არის შემოთავაზებული საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მეორე პუნქტში [59].

* * *

საქართველოს კონსტიტუციიდან და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის დაუშვებლობის – აკრძალვის – გაუქმების, და აგრეთვე მოსამართლეთა მიმართ არსებული ყოველგვარი სხვა „იმუნიტეტის“ ამოღების შემდეგ, ამოქმედდება მოსამართლეთა პასუხისმგებლობის – *მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის* – მექანიზმები, რამეთუ მოხდება მოსამართლეთა უფლებებთან მათი პასუხისმგებლობის დაბალანსება ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [1; 2; და სხვა] საფუძველზე, *რაც ხელს შეუწყობს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამყარებას, და რის შედეგადაც აღარ იარსებებს „იმუნიტეტი“ მოსამართლეთა მიმართ, და აღარ იარსებებს მოსამართლეთა „იმუნიტეტით“ გამოწვეული და განპირობებული მრავალი ადამიანის დისკრიმინაცია.*

ამრიგად, სასამართლო სისტემაში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკაში შექმნილი ვითარება წინააღმდეგობაში აღარ იქნება საყოველთაოდ ცნობილ და საერთაშორისო მასშტაბით *(საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და სახელმწიფოთა კონსტიტუციებით)* აღიარებულ – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობასთან, და, *კერძოდ,* ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლთან, რომლის თანახმად:

”ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [61, მუხლი 7].

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის დაკანონების აუცილებლობა, რომლის გარეშე – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას, რაც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იქნება (?!).

მაშასადამე, ზემოაღნიშნული პრობლემა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას, რომლის გადაჭრის გარეშე სასამართლო სისტემაში მრავალი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – "გარანტირებული" იქნება (!).

ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 76 გვ.
2. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=224>
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>
5. კურატაშვილი ალფრედ. მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 100 გვ.
6. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 352 გვ.
7. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. *ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება* (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 76 გვ.
8. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.
9. Кураташвили Альфред А. Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, 1998, №3 (419). Тбилиси: “Технический университет”, 1998.
10. Кураташвили Альфред А. Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества. Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, 1999, №1-2. Тбилиси: "Мецниереба", 1999.
11. Кураташвили Альфред А. Альтернативное представление об ориентации общества и государства. Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, 1999. New York, USA.

12. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. *მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2003. – 720 გვ.

13. კურატაშვილი ალფრედ. ჰუმანოსოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები. *სახელმწიფო მართვის რევოლუციურად ახალი – სოციალურად გამიზნული ფილოსოფიური, სამართლებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიური მეცნიერული თეორიები* (მონოგრაფია ქართულ ენაზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2017. – 432 გვ.

14. კურატაშვილი ალფრედ. სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები: პრობლემები და გადაჭრის გზები. *სასამართლო პროცესის მონაწილეთა და მათ წარმომადგენელთა უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის დანერგვა – დანაშაულებათა აღმოფხვრისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი საფუძველი*. სოციალური სამართლიანობის პრობლემა და სახელმწიფო მართვა. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (20-21.12.2011). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2011, გვ. 3-32.

15. Кураташвили Альфред А. Сбалансированность ответственности участников судебного процесса с их правами – необходимое условие утверждения социальной справедливости и законности в обществе и в государстве. *Критический анализ существующей судебной практики – как подтверждение необходимости внедрения созданной мной Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц*. Проблема социальной справедливости и государственное управление. *Материалы Международной научной конференции* (20-21.12.2011). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2011, с. 33-52.

16. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტევა და ადამიანის უფლებების შელახვა სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?! *სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია!!!* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27-28.03.2013). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2013, გვ. 44-58.

17. კურატაშვილი ალფრედ. ადამიანის უფლებები და სასამართლო სისტემა: პრობლემები და გადაჭრის გზები. *მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტევა და ადამიანის უფლებების შელახვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?!* ადამიანის უფლებები და სახელმწიფო მართვის პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (21.01.2014). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2014, გვ. 3-12.

18. Кураташвили Альфред А. Проблемы защиты прав человека и необходимость привлечения к уголовной ответственности участников судебного процесса за превышение ими своих служебных полномочий. Права человека и проблемы государственного управления. *Материалы Международной научной конференции* (21.01.2014). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014, с. 13-27.

19. კურატაშვილი ალფრედ. სასამართლო პროცესის მონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედებები და ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა (?!). *კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?!* საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2014, № 1-2. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2014. – გვ. 17-24.

20. Кураташвили Альфред А. Права человека и необходимость привлечения Судей к уголовной ответственности за превышение ими своих служебных (должностных) полномочий. Международный научный журнал "Прогресс", 2014, №3-4. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014. – с. 19-30.

21. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეს რატომ არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადახვეტილებისათვის?! *ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე?!* ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (12.08.2014). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2014, გვ. 11-28.

22. კურატაშვილი ალფრედ. ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა "არგუმენტებით" კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ... (?!). *ვინ მისცა ადვოკატს თავზედური კანონსაწინააღმდეგო ქმედებების უფლება?!* ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (12.08.2014). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2014, გვ. 29-38.

23. კურატაშვილი ალფრედ. რატომ მფარველობს სახელმწიფოს კონსტიტუცია მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედებებს?! *ნუთუ კანონის წინაშე ყველა ადამიანის კონსტიტუციური თანასწორობა – მხოლოდ ხალხის მოსატყუებელ ცარიელ ლოზუნგს წარმოადგენს?!* საზოგადოება და სახელმწიფო: მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (15.11.2014). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2014. – გვ. 3-8.

24. Кураташвили Альфред А. Проблема государственного управления: Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц и необходимость привлечения к ответственности Судей за их противозаконные деяния. Научные изыскания в государственном и муниципальном управлении. Академия Муниципального Управления (Киев, Украина). Сборник научных трудов. Выпуск 2/2014. Киев – 2014, с. 32-38.

25. Кураташвили Альфред А. Проблема защиты прав человека: Привлечение Судей к уголовной ответственности за превышение ими своих служебных полномочий – за *принятие ими противозаконных решений* – необходимое условие утверждения истинной законности и подлинной справедливости!!! *Независимость Судьи – не есть, и не может означать будто бы его право – независимо и безнаказанно ущемлять законные права и свободы Человека (?!).* Международный научный журнал "Проблемы Юриспруденции", 2014, №1-2. Международная Академия социально-экономических наук. Грузинский технический университет. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014. – с. 9-34.

26. Кураташвили Альфред А. Права человека и проблемы адвокатской деятельности: Необходимость привлечения адвокатов к уголовной ответственности за их противозаконные деяния в процессе защиты своих клиентов!!! *Адвокат должен защищать законные права своих клиентов, а не пытаться путем мошенничества «обелить» в судебном процессе их противозаконные – криминальные – деяния (?!).* Международный научный журнал "Проблемы Юриспруденции", 2014, №1-2. Международная Академия социально-экономических наук. Грузинский технический университет. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014. – с. 35-50.

27. კურატაშვილი ალფრედ. ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა "არგუმენტებით" კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?! საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „იურისპრუდენციის პრობლემები“, 2015, №1-2. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015. – გვ. 81-88.

28. კურატაშვილი ალფრედ. სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო განჩინება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება (?!). *აქლანტებისათვის სახელმწიფო ბაჟის უსაფუძვლო გადახდებიანების სამართლებრივი პრობლემა* (?!). სოციალური პრობლემები და სახელმწიფო მართვა. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (20.05.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015. – გვ. 29-32.

29. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის გარეშე – სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრება ცარიელ – ცრუ – ლოზუნგად დარჩება (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2015. – გვ. 3-12.

30. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების “წახლისების” “სამართლებრივი” “საფუძველია” – დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომლითაც აკრძალულია კრიმინალი მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (?!). *რა არის მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, თუ არა კრიმინალური ქმედება – თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 11-22.

31. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა ლუსტრაცია და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა სასამართლო სისტემიდან “მოკვეთა” – სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევისა და დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი პირობა!!! სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 23-28.

32. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების არარა აქტად ცნობის აუცილებლობა და მისი სამართლებრივი საფუძვლები. *ისეთს რას “წარმოადგენს” უსამართლო “მოსამართლე”, რომ მისი კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება არარა აქტად გამოცხადებას არ დაექვემდებაროს?* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 29-36.

33. კურატაშვილი ალფრედ. ადამიანის უფლებები და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” სამართლებრივი პრობლემა (?!). *რა არის და რა უნდა იყოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი?* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 37-44.

34. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობა – დანაშაულებრივად “დაკანონებული” უკანონობაა, ხოლო მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის და საერთოდ კრიმინალური ქმედებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებობა და, *მით უმეტეს*, არავითარი პასუხისმგებლობის არარსებობა – დანაშაულებრივად “დაკანონებულ” უკანონობასთან ერთად სამართლისა და სამართლიანობის დაცინვას წარმოადგენს (?!). სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 45-52.

35. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა მიერ უვიცობით ჩადენილი დანაშაული, თუ მიზანდასახულად განხორციელებული კრიმინალური ქმედება?! ნუთუ არ უნდა ესმოდეს ყველა მოსამართლეს, რომ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – დანაშაულია?! სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 53-58.

36. კურატაშვილი ალფრედ. სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების – *სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშების* – არსის გაგებისა და იმპლემენტაციის პრობლემები და მათი გადაჭრის მექანიზმები. *სამართლიანობა და კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა მოითხოვს, რომ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – დანაშაულებრივი ქმედებისათვის – მოსამართლეს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირს, უდავოდ ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 59-62.

37. კურატაშვილი ალფრედ. საკონსტიტუციო სასამართლო: სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის დამატებითი უფლებებისა და ამ უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის დაკანონების აუცილებლობის შესახებ!!! *საკონსტიტუციო სასამართლოს რეალურად უნდა განესაზღვროს კონსტიტუციური კონტროლის და ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ფუნქციები!!!* სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (27.05.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 77-82.

38. Кураташвили Альфред А. Противозаконно «узаконенный» запрет на привлечение Судей к уголовной ответственности – несомненный показатель наличия преступного законодательства во многих государствах мира (?!). *Неужели подлежит сомнению, что принятие судьёй противозаконного решения является криминальным деянием – злоупотреблением судьёй своими служебными (должностными) полномочиями и превышением им своих служебных (должностных) полномочий?! С какой же целью «крышуют» и «стимулируют» преступные деяния судей?! Проблемы эффективного управления государством. Материалы Международной научной конференции* (15.11.2016). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2016. – с. 3-20.

39. კურატაშვილი ალფრედ. ვინ მისცა უფლება მოსამართლეს, რომ ის კანონზე და სამართლიანობაზე მაღლა იდგეს და დანაშაულებრივი დაუწერელი “კანონის” “საფუძველზე” იღებდეს კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალურ – გადაწყვეტილებას?! *მოსამართლის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მისი სისხლის სამართლის დამნაშავე ხელმძღვანელების – მიმართ “გამამართლებელი” გადაწყვეტილების მიღება იმისათვის, რომ “არ დაზარალებენ” იქ მოკალათებული კრიმინალები – აშკარად დანაშაულებრივი ქმედებაა (!!).* სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები პროფესორ ალფრედ კურატაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2016). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2016. – გვ. 21-26.

40. Кураташвили Альфред А. Люстрация Судей, принимавших противозаконные решения, и немедленное «отсечение» их от судебной системы – необходимое, хотя и недостаточное условие достижения и утверждения справедливости в обществе и в государстве. Проблемы эффективного управления государством. *Материалы Международной научной конференции* (15.11.2016). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2016. – с. 35-44.

